საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების დაკისრების თაობაზე

ი. გ. ადვოკატ ზ. კ. წინააღმდეგ

ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიის შემადგენლობა:

ემზარ პაქსაძე – კოლეგიის თავმჯდომარე

იური ვაზაგაშვილი – კოლეგიის წევრი

ირაკლი კორძახია – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი – ი. გ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 04.03.10

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: N 015/10

ადვოკატი, რომლის მიმართაც არის საჩივარი შემოტანილი – ზ. კ.

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ზ. კ. ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება.

დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის შემადგენლობა:

დათუნა მოდებაძე – კოლეგიის თავმჯდომარე

დავით კაკაბაძე – კოლეგიის წევრი

გიორგი ბეგიაშვილი – კოლეგიის წევრი

აღწერილობითი ნაწილი

1. საჩივრის ავტორის პოზიცია:

1.1. 2010 წლის 3 მარტს საქართველოს მოქალაქე ი. გ. მომართა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას და მოითხოვა ადვოკატ ზ. კ. -სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2. განმცხადებელი საჩივარში აღნიშნავს, რომ ადვოკატი ზ. კ. იცავდა მისი მეუღლის, ზ. ლ. ინტერესებს სისხლის სამართლის საქმეზე. საჩივრის ავტორი უთითებს, რომ ადვოკატმა ზ. კ. დაარღვია ეთიკური ნორმები, რის გამოც იგი ჩამოაცილეს საქმის წარმოებას.

1.3. განმცხადებელი აღნიშნავს, რომ მას იმედი ჰქონდა, რომ ადვოკატი ზ. კ. მის ქმარს თავს დაანებებებდა და არ დაიწყებდა მის წინააღმდეგ მოქმედებებს. განმცხადებელი განმარტავს, რომ მისი მეუღლის ინტერესები დაიცვა სხვა ადვოკატმა და მის მეუღლეს მისცეს 5 წლით პირობითი მსჯავრი, ხოლო ადვოკატ ზ. კ. ნათესავს მიუსაჯეს 3 წელი.

1.4. საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ ზემოთ აღნიშნული გარემოებების გამო ადვოკატი ზ. კ. მისი მეუღლის მიმართ განეწყო აგრესიულად და ყოველ პროცესზე ციხეში ჩასმით ემუქრებოდა.

1.5. საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ 2010 წლის თებერვლის ბოლოს ადვოკატი ზ. კ. შეხვდა ქუჩაში მას და მის მეუღლეს, სადაც მის მეუღლეს მიაყენა როგორც ფიზიკური, ასევე სიტყვიერი შეურაცყოფა. საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მისმა მეუღლემ ძლივს შეიკავა თავი. ადვოკატი ზ. კ. ცდილობდა მისი მეუღლის წყობილებიდან გამოყვანას, რადგან იგი იმყოფებოდა პირობითი მსჯავრის ქვეშ და უნდოდა, რომ მისი მდგომარეობა დაემძიმებინა.

1.6. საჩივრის ავტორი ითხოვს, რომ დაიწყოს ადვოკატ ზ. კ. მიმართ დისციპლინური დევნა და დაეკისროს მას კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.

1.7. 2011 წლის 28 მარტს განხილვის კოლეგიის სხდომაზე საჩივრის ავტორი არ გამოცხადდა.

2. ადვოკატ ზ. კ. განმარტების მიხედვით:

2.1. ადვოკატმა ზ. კ. საქმის განხილვის საპროცესო ეტაპზე განმარტა, რომ მოქალაქე ი. გ. მიმართა სამართლებრივი დახმარებისათვის და სთხოვა დაეცვა მისი მეუღლის, ზ. ლ. ინტერესები, რომელიც დაკავებული იყო სამ პირთან ერთად სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისათვის. ადვოკატი განმარტავს, რომ იგი ზ. ლ. ერთად იცავდა კიდევ ორ პირს, გ. ქ. და რ. ტ., რომლებიც ზ. ლ. ერთად იყვნენ დაკავებულები იმავე საქმეში.

2.2. ადვოკატი განმარტავს, რომ საქმეში მისი ჩართვის დროისათვის, აღნიშნული პირები დაკავებულები იყვნენ ეჭვმიტანილის სტატუსით. ადვოკატი აღნიშნავს, რომ 3 დაკავებულებთან შეხვედრის შემდეგ გაარკვია, რომ ზ. ლ. თავისი მეზობლები გ. ქ., რ. ტ. და ზ. ჯ. წაიყვანა დასახმარებლად, კერძოდ დანგრეული შენობიდან ნაშალი ბირკეტების წამოსაღებად. ზ. ლ. არ გაუმხილა აღნიშნულ პირებს, რომ ბირკეტები მოპარული იყო.

2.3. ადვოკატი განმარტავს, რომ მან თავის დაცვის ქვეშ მყოფ პირებს გამომძიებლის სახელზე დააწერინა განცხადებები მათი დაუყოვნებლივი დაკითხვის მოთხოვნით და ურჩია მათ მიეცათ ჩვენებები იმის თაობაზე, თუ რა მოხდა სინამდვილეში. ადვოკატი აღნიშნავს, რომ აღნიშნული ჩვენებების შემდეგ შეწყდებოდა სისხლის სამართლებრივი დევნა გ. ქ,, რ. ტ. და ზ. ჯ. მიმართ, ხოლო ზ. ლ. შერაცხული ბრალი გადაკვალიფიცირდებოდა სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილიდან 1-ლ ნაწილზე, რითაც ზ. ლ. მნიშვნელოვნად შეუმსუბუქდებოდა სასჯელის სიმძიმე.

2.4. ადვოკატ ზ. კ. განმარტების მიხედვით, მისი დაცვის ქვეშ მყოფმა პირებმა მის მიერ მიცემული კონსულტაციის შემდეგ თავად გადაწყვიტეს მიეცათ გამოძიებისათვის ჩვენება იმის თაობაზე, თუ რა მოხდა რეალურად.

2.5. ადვოკატი განმარტავს, რომ ზ. ლ. მეუღლემ ი. გ. მიიღო კონსულტაცია სხვა ადვოკატისაგან და აგრესიულად განეწყო მის მიმართ, განაცხადა პრეტენზიები იმის თაობაზე, თუ რატომ იღებდა ზ. ლ. მის თავზე დანაშაულის ჩადენას და არა სხვა ეჭვმიტანილები. ადვოკატი აღნიშნავს, რომ ი. გ. იგი დაადანაშაულა იმაში, რომ იგი ძალით აწერინებდა მის მეუღლეს ჩვენებას, რასაც ადგილი არ ჰქონია და ზ. ლ. თავად მიიღო გადაწყვეტილება ჩვენების მიცემის თაობაზე. ადვოკატი განმარტავს, რომ მან აუხსნა ი. გ., რომ თუ გამოძიება გაიზიარებდა მათ ჩვენებებს ზ. ლ. შეუმსუბუქდებოდა მასზე შერაცხული ბრალის სიმძიმე.

2.6. ადვოკატი განმარტავს, რომ ზ. ლ. ოჯახის წევრებმა არ დაიჯერეს მის მიერ მიცემული სამართლებრივი კონსულტაცია და კატეგორიულად მოითხოვეს, რომ სხვა პირებს არ დაეწერათ ჩვენებები. ისინი დათანხმდებოდნენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სხვა დაიბრალებდა აღნიშნული დანაშაულის ჩადენას. ადვოკატი განმარტავს, რომ ზ. ლ. ოჯახის წევრებმა ნაცნობი პოლიციის თანამშრომლის დახმარებით ხმა მიაწვდინეს ზ. ლ., რომ მას არ მიეცა ჩვენება, რის შემდეგაც ზ. ლ. უარი განაცხადა ჩვენების მიცემაზე.

2.7. ადვოკატი აღნიშნავს, რომ იმის გამო, რომ ზ. ლ. უარი განაცხადა ჩვენების მიცემაზე, გამოძიებამ არ გაიზიარა სხვა დაკავებულთა ჩვენებები და ვერ მოხერხდა მათი ინტერესების დაცვის განხორციელება. ადვოკატი აღნიშნავს, რომ ოთხივე დაკავებულს წაუყენეს ბრალი სსკ-ის 177-ე მუხლის მესამე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის.

2.8. ადვოკატი განმარტავს, რომ იგი იცავდა ოთხივე ბრალდებულის ინტერესებს სასამართლო პროცესზე. სასამართლოს გადაწყვეტილებით, ზ. ლ., რ. ტ. და ზ. ჯ. შეეფარდა საგირავნო პატიმრობა, გირაოს 5000 ათასი ლარის ოდენობით გადახდამდე, ხოლო გ. ქ. შეეფარდა პატიმრობა.

2.9. ადვოკატი განმარტავს, რომ ზ. ლ. აღკვეთი ღონისძიების შეფარდების შემდეგ, ზ. ლ. ოჯახის წევრების მხრიდან დაიწყო მისი და მისი ოჯახის წევრების მიმართ 4 აგრესიული და შეურაცმყოფელი მოქმედებები. ადვოკატი აღნიშნავს, რომ მათ შეურაცყოფა მიაყენეს მის პირად და პროფესიულ ღირსებას, ასევე მის დასა და ოჯახის სხვა წევრებს. ადვოკატი განმარტავს, რომ 2009 წლის 25 აგვისტოს ქალაქ ფოთის პოლიციის სამმართველოში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე ზ. ლ. მეუღლის, ი. გ. და ზ. ლ. დის მიმართ მათი მხრიდან მის მიმართ განხორციელებული მუქარის ფაქტზე.

2.10. ადვოკატი განმარტავს, რომ ზ. ლ. მოგვიანებით აიყვანა სხვა ადვოკატი, ხოლო იგი ისევ იცავდა გ. ქ. ინტერესებს. ზ. კ. განმარტებით, ზ. ლ. დაიჯერა მისი და მისი ადვოკატის რჩევები და სასამართლოს მისცა ჩვენება იმის შესახებ, თუ რა მოხდა სინამდვილეში. აღნიშნული ჩვენებისა და მტკიცებულებათა წარდგენის შემდეგ, პროკურატურამ დაიბარა განსასჯელების ოჯახის წევრები და შესთავაზა საპროცესო შეთანხმების დადება ჯარიმისა და რეალური სასჯელის გარეშე, რაზეც განსასჯელები და მათი ოჯახის წევრები დათანხმდნენ. შესაბამისად, საპროცესო შეთანხმება გაფორმდა საჩივრის ავტორის მეუღლესთან, ზ. ლ. ჯარიმისა და რეალური სასჯელის გარეშე.

2.11. ადვოკატი განმარტავს, რომ ი. გ. არ გადაუხდია მის მიერ გაწეული საადვოკატო მომსახურების საფასური, ხოლო მის მიერ ეთიკის კომისიაში საჩივრის დაწერა განპირობებულია იმ ფაქტით, რომ მათ მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

2.12. 2011 წლის 28 მარტს განხილვის კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა ზ. კ. განაცხადა, რომ არ ეთანხმება საპროცესო კოლეგიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას და დააზუსტა საპროცესო ეტაპზე მიცემულ ახსნა-განმარტება.

2.13. ადვოკატმა ზ. კ. ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მან თავად მიიღო გადაწყვეტილება უარი ეთქვა ჯერ რ. ტ. და შემდეგ ზ. ლ. ინტერესების დაცვაზე ინტერესთა კონფლიქტის საფრთხის წარმოშობის შემდეგ. ადვოკატი უთითებს, რომ ზ. ლ. მიმართ ინტერესთა კონფლიქტი წარმოეშვა მას შემდეგ, რაც ზ. ლ. მისცა აღიარებითი ჩვენება, კერძოდ დაადანაშაულა მისი სხვა კლიენტები დანაშაულებრივი ქმედების ჩადენაში.

2.14. ადვოკატმა ზ. კ. აღნიშნა, რომ მართალია კანონის თანახმად, ინტერესთა კონფლიქტის წარმოშობის შემთხვევაში ადვოკატმა უნდა შეწყვიტოს ყველა კლიენტის ინტერესების დაცვა და საერთოდ უნდა ჩამოშორდეს საქმეს, მაგრამ ადვოკატმა მიუთითა, რომ სასამართლო პრაქტიკაში ასე არ ხდება და ადვოკატი ყოველთვის რჩება ერთ-ერთი კლიენტის ადვოკატად. ადვოკატმა ზ. კ. აღნიშნა, რომ მან გადაწყვიტა გაეგრძელებინა გ. ქ. ინტერესების დაცვა, რადგან გ. ქ. ჰქონდა პირობითი მსჯავრი და მისი დაცვა უფრო მეტ სირთულესთან იყო დაკავშირებული. ადვოკატმა მიუთითა, რომ მას არ გააჩნდა არც განსაკუთრებული ფინანსური დაინტერესება დაეცვა გ. ქ. ინტერესი და არც ნათესაური კავშირი ჰქონდა მასთან. ადვოკატმა აღნიშნა, რომ გ. ქ. დაცვისას მას არ გამოუყენებია სხვა კლიენტებისაგან მიღებული ინფორმაცია მათ საწინააღმდეგოდ.

2.15. განხილვის კოლეგიის სხდომაზე, ადვოკატმა ზ. კ. აღნიშნა, რომ მან მისცა კონსულტაცია მის კლიენტებს, თუმცა მათგან მოდიოდა ინიციატივა მიეცათ ჩვენება იმის თაობაზე, თუ რა მოხდა სინამდვილეში. ადვოკატი უთითებს, რომ ზ. ლ. 5 გადაწყვიტა თავად ამ ჩვენების მიცემა და მას არ ჰქონდა უფლება არ დათანხმებოდა მის პოზიციას. აღნიშნულის დადასტურების მიზნით, ადვოკატმა ზ. კ. განხილვის კოლეგიის სხდომაზე დააყენა შუამდგომლობა მოწმეების რ. ტ. და ზ. ლ. გასაუბრების თაობაზე, რაც განხილვის კოლეგიის მიერ დაკმაყოფილდა.

2.16. ადვოკატმა ზ. კ. ნდობის პრინციპის დარღვევასთან განმარტა, რომ ზ. ლ. მისი რჩევიდან და მოქმედებიდან გამომდინარე არ წარმოშობია მის მიმართ უნდობლობა. ადვოკატმა აღნიშნა, რომ უნდობლობის წარმოშობა გამოიწვია ზ. ლ. ოჯახის წევრებისათვის სხვა ადვოკატის მიერ გაწეულმა არაკვალიფიციურმა კონსულტაციამ.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

3.1. 2011 წლის 24 იანვარს საპროცესო კოლეგიამ გამოიტანა გადაწყვეტილება ადვოკატ ზ. კ. მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

3.2. საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებების დადასტურების შემთხვევაში, ადვოკატ ზ. კ. მიერ შეიძლება დარღვეულად ჩაითვალოს ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,ე" ქვეპუნქტი და მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტი; ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-3 მუხლი და მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი. სამოტივაციო ნაწილი

4. საქმის ფაქტობრივი გარემოებები:

4.1. განხილვის კოლეგიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტობრივი გარემოებები: საჩივრის ავტორისა და მოპასუხე ადვოკატის პოზიციებიდან, ასევე საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე, განხილვის კოლეგიამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

4.1.1. ადვოკატი ზ. კ. ერთსა და იმავე სისხლის სამართლის საქმეზე იცავდა სამი პირის ზ. ლ., რ. ტ. და გ. ქ. ინტერესებს.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. ი. გ. 2010 წლის 4 მარტის საჩივარი (1-ლი გვ, 1-ლი აბზაცი);

2. ა. ზ. კინტირაიას 2010 წლის 20 იანვრის ახსნა-განმარტება. (1-ლი გვერდი; მე-2 აბზაცი);

3. ფოთის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 8 ოქტომბრის სასამართლო სხდომის ოქმი. (1-ლი გვერდი; მე-3 აბზაცი)

4.1.2. განსასჯელმა ზ. ლ. გამოძიებას მისცა აღიარებითი ჩვენება, რომლითაც დაადანაშაულა რ. ტ. და გ. ქ. დანაშაულებრივი ქმედების ჩადენაში.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. ადვოკატ ზ. კ. 2010 წლის 20 იანვრის ახსნა-განმარტება. (მე-3 გვ; 1-ლი აბზაცი)

2. ზ. ლ. მიერ 2011 წლის 28 მარტს განხილვის კოლეგიის სხდომაზე წარმოდგენილი ჩვენება. (განხილვის კოლეგიის სხდომის ოქმი #02/11; მე-5 გვერდი; მე-10 აბზაცი);

4.1.3. განსასჯელებმა რ. ტ. და გ. ქ. გამოძიებას მისცეს ჩვენებები, რომლთა მიხედვითაც ზ. ლ. ჩაიდინა სისხლის სამართლის დანაშაული და ისინი მოტყუებით ჩართო საქმეში.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. ა. ზ. კინტირაიას 2010 წლის 20 იანვრის ახსნა-განმარტება. (მე-3 გვ; 1-ლი აბზაცი);

2. რ. ტ. მიერ 2011 წლის 28 მარტს განხილვის კოლეგიის სხდომაზე წარმოდგენილი ჩვენება. (განხილვის კოლეგიის სხდომის ოქმი #02/11; მე-5 გვერდი; მე-3 აბზაცი);

4.1.4. ადვოკატმა ზ.კ. უარი თქვა რ. ტ. და ზ. ლ. ინტერესების დაცვაზე და განაგრძო გ. ქ. ინტერესების დაცვა.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. ადვოკატ ზ. კ. მიერ 2011 წლის 28 მარტს განხილვის კოლეგიის სხდომაზე წარმოდგენილი ახსნა-განმარტება. (განხილვის კოლეგიის სხდომის ოქმი #02/11; მე-4 გვერდი; მე-3 აბზაცი);

2. ადვოკატ ზ. კ. მიერ ფოთის საქალაქო სასამართლოში წარდგენილი შუამდგომლობა მტკიცებულებების საქმის მასალებზე დართვის შესახებ. (1-ლი გვ; 1-ლი აბზაცი)

4.1.5. განსასჯელებს რ. ტ. და ზ. ლ. 2009 წლის 8 ოქტომბერს დაენიშნათ ადვოკატი სახელმწიფოს ხარჯზე.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

ფოთის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 8 ოქტომბრის დადგენილება განსასჯელებისათვის ადვოკატის დანიშვნის შესახებ. (მე-2 გვ; მე-3 აბზაცი).

5. შემაჯამებელი დასკვნა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა ადვოკატის ახსნა-განმარტება და თვლის, რომ ადვოკატ ზ. კ. მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

6. სამართლებრივი შეფასება

6.1. ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ზ. კ. მიერ დაირღვა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-6 მუხლის მე-4 პუნქტი:

,,ადვოკატი ვალდებულია შეწყვიტოს ყველა კლიენტის საქმის წარმოება, რომელთა ინტერესებსაც იგი წარმოადგენდა, თუკი კლიენტებს შორის წარმოიქმნა ინტერესთა კონფლიქტი მოცემულ საქმეზე და არსებობს ადვოკატის მიმართ ნდობის დარღვევის და/ან კონფიდენციალობის ხელყოფის საფრთხე."

ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ ადვოკატმა კლიენტის ინტერესების დაცვისას თავი უნდა აარიდოს ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევებს და კლიენტის წარმომადგენლობა უნდა განახორციელოს იმგვარად, როგორც კლიენტი იმოქმედებდა საკუთარი ინტერესებისათვის შესაბამისი ცოდნის, უნარისა და დროის არსებობის შემთხვევაში.ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ინტერესთა კონფლიქტი წარმოიშობა, თუ ადვოკატის მიერ განხორციელებულ წარმომადგენლობაზე არსებით და უარყოფით გავლენას ახდენს ადვოკატის პირადი ინტერესი ან ვალდებულება კლიენტის, ყოფილი კლიენტის ან მესამე პირის მიმართ.

6.2. განსახილველ შემთხვევაში ადვოკატი ზ. კ. წარმოადგენდა და იცავდა სამი პირის ინტერესებს ერთსა და იმავე სისხლის სამართლის საქმეში. ეთიკის კომისია მნიშვნელოვნად მიიჩნევს განმარტოს, რომ განსახილველ შემთხვევაში ინტერესთა კონფლიქტზე მსჯელობისას გათვალისწინებული უნდა იქნას სისხლის სამართლის პროცესისათვის დამახასიათებელი თავისებურებები და კლიენტების ინტერესებს შორის კონფლიქტის წარმოშობის შესაძლო შემთხვევები.

6.3. ეთიკის კომისია თვლის, რომ სისხლის სამართლის საქმეში, კლიენტების ინტერესებს შორის კონფლიქტი წარმოიშობა იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთი კლიენტი საქმის მსვლელობის პროცესში ადანაშაულებს სხვა კლიენტს ან მის მიერ ადვოკატისათვის მიწოდებული ინფორმაცია არ შეესაბამება სხვა კლიენტების მიერ წარმოდგენილ გარემოებებს.

6.4. შესაბამისად, აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეში ადვოკატ ზ. კ. ინტერესთა კონფლიქტი წარმოეშვა იმ დროიდან, როდესაც მისმა კლიენტებმა გამოძიებას მისცეს განსხვავებული ჩვენებები, კერძოდ ერთ-ერთმა კლიენტმა (ზ. ლ.) მისცა აღიარებითი ჩვენება და დაადანაშაულა მისი ორი კლიენტი (რ. ტ. და გ. ქ.) დანაშაულებრივი ქმედების ჩადენაში. მეორე მხრივ, გ. ქ. და რ. ტ. მიერ მიცემული ჩვენებების მიხედვით, ზ. ლ. ჩაიდინა სისხლის სამართლის დანაშაული და ისინი მოტყუებით ჩართო აღნიშნულ საქმეში.

6.5. ეთიკის კომისიამ შეაფასა ადვოკატ ზ. კ. გადაწყვეტილება ინტერესთა კონფლიქტის წარმოშობის შემდეგ ზ. ლ. და რ. ტ. ინტერესების დაცვის შეწყვეტისა და გ. ქ. ადვოკატად დარჩენის თაობაზე.

6.6. ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მიხედვით ადვოკატი ვალდებულია შეწყვიტოს ყველა კლიენტის საქმის წარმოება, რომელთა ინტერესებსაც იგი წარმოადგენდა, თუკი კლიენტებს შორის წარმოიქმნა ინტერესთა კონფლიქტი მოცემულ საქმეზე და არსებობს ადვოკატის მიმართ ნდობის დარღვევის და/ან კონფიდენციალობის ხელყოფის საფრთხე.

6.7. განსახილველ შემთხვევაში ადვოკატი ზ. კ. ვალდებული იყო შეეწყვიტა სამივე კლიენტის დაცვის განხორციელება, რადგან მათ მიერ განსხვავებული ჩვენებების მიცემამდე იგი წარმოადგენდა სამივე კლიენტის ინტერესებს და ფლობდა სამივე მათგანისაგან მიღებულ ინფორმაციას.

6.8. ეთიკის კომისია თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში წარმოიშვა ადვოკატ ზ. კ. მიერ კლიენტების მიწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალობის ხელყოფის საფრთხე და შესაძლებლობა, რომ აღნიშნული ინფორმაცია ადვოკატს გამოეყენებინა დარჩენილი კლიენტის სასარგებლოდ ან სხვების საზიანოდ.

6.9. რამოდენიმე კლიენტის დაცვის შემთხვევაში ინტერესთა კონფლიქტის წარმოშობისას, ადვოკატის მიერ ერთ-ერთი კლიენტის ინტერესების დაცვის გაგრძელება ადვოკატს აკისრებს ვალდებულებას ერთის მხრივ დაიცვას ყოფილი კლიენტების მიერ მისთვის მიწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალობა, ხოლო მეორე მხრივ, დარჩენილი კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოყენოს კანონით გათვალისწინებული ყველა საშუალება.

6.10. ადვოკატის მიერ აღნიშნული ვალდებულებების შესრულება ერთმანეთის კონკურენტულია და წარმოიშვება ადვოკატის მიერ ერთ-ერთი ვალდებულების დარღვევის საფრთხე, რაც შესაძლოა უარყოფითად აისახოს ყოფილი კლიენტის ან არსებული კლიენტის ინტერესებზე.

6.11. ეთიკის კომისია მიჩნევს, რომ ადვოკატის მიერ საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესში ორივე ინტერესის (კონფიდენციალობისა და კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობა) დაცვა თანაბრად მნიშვნელოვანია და ადვოკატმა უნდა თავი აარიდოს შემთხვევებს, როდესაც შესაძლოა საფრთხის ქვეშ დადგეს ერთერთი ინტერესი.

6.12. ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში ადვოკატი ზ. კ. წინასწარი გამოძიების ეტაპზე წარმოადგენდა სამივე კლიენტის ინტერესებს და მისთვის ცნობილი იყო სამივე მათგანის პოზიცია, არგუმენტები და მტკიცებულებები. განხილვის კოლეგია თვლის, რომ ადვოკატი ზ. კ. გადაწყვეტილება იმავე საქმეში ერთ-ერთი კლიენტის ადვოკატად დარჩენის თაობაზე წარმოშობდა ობიექტურ საფრთხეს ყოფილი კლიენტების მიერ მისთვის მიწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალურობის დარღვევის სახით და რისკის ქვეშ აყენებდა ადვოკატის მიერ დარჩენილი კლიენტის დასაცავად ყველა კანონიერი საშუალების გამოყენების შესაძლებლობას.

6.13. ეთიკის კომისიამ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებებით არ დასტურდება, რომ ადვოკატმა ზ. კ. გ. ქ. ინტერესების დაცვის გაგრძელებისას ზიანი მიაყენა მისი ყოფილი კლიენტების ინტერესებს.

6.14. ეთიკის კომისიამ არ გაითვალისწინა ადვოკატ ზ. კ. არგუმენტი, რომ იგი მოქმედებდა არსებული სასამართლო პრაქტიკის შესაბამისად, რაც ადვოკატს აძლევს შესაძლებლობას რამოდენიმე კლიენტის დაცვის განხორციელების პროცესში ინტერესთა კონფლიქტიის წარმოშობისას გააგრძელოს ერთ-ერთი კლიენტის ინტერესების დაცვა.

6.15. ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ადვოკატმა უნდა იმოქმედოს ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის შესაბამისად და გადაწყვეტილების მიღების პროცესში არ დაეყრდნოს რაიმე სახის პრაქტიკას, რომელიც წინააღმდეგობაში მოდის კანონის და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მოთხოვნებთან. შესაბამისად ადვოკატის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების არასწორ პრაქტიკაზე დაყრდნობა ვერ გახდება დისციპლინური პასუხისმგებლობისაგან მისი გათავისუფლების საფუძველი.

6.16. ეთიკის კომისიამ ადვოკატისათვის დისციპლინური სახდელის დაკისრებაზე მსჯელობისას აღნიშნული მიზეზი მიიჩნია შემამსუბუქებელ გარემოებად, რადგან ადვოკატმა გადაწყვეტილება მიიღო სისხლის სამართლის პროცესში ჩამოყალიბებული არასწორი პრაქტიკის პირობებში და მისი ზეგავლენით.

6.17. ეთიკის კომისიამ გაითვალისწინა ევროპის ადვოკატთა ასოციაციებისა და სამართლის საზოგადოებების საბჭოს (CCBE) მიერ ევროპელი ადვოკატებისათვის მიღებული ქცევის წესები, რომლის 3.2.2 მუხლი ადგენს: ,,ადვოკატმა უნდა შეწყვიტოს ყველა კლიენტის წარმომადგენლობის განხორციელება, რომელთა ინტერესებს შორისაც არსებობს კონფლიქტი ან როდესაც ეჭვქვეშ დგება კლიენტის ნდობა ადვოკატის მიმართ.“

სარეზოლუციო ნაწილი

განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა რა ,,ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტი და 33-ე მუხლით; 33-ე მუხლით; ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-3 მუხლით; მე-6 მუხლის 1-ლი და მე-4 პუნქტებით; ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების მე-5 მუხლის მე-7 პუნქტის; 33-ე, 35-ე და 38-ე მუხლებით

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. ადვოკატ ზ. კ. მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვროს კერძო სარეკომენდაციო ბარათის მიცემა.

2. კერძო სარეკომენდაციო ბარათის ასლი შეინახოს დისციპლინურ საქმეში დაბეჭდილ კონვერტში. მისი გახსნა მოხდეს იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატ ზ. კ. წინააღმდეგ დაიწყება ახალი დისციპლინური დევნა.

3.განხილვის კოლეგიის გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს ადვოკატს გადაწყვეტილების გამოტანიდან 5 დღის განმავლობაში.

4. ადვოკატ ზ. კ. უფლება აქვს ეს გადაწყვეტილება გაასაჩივროს საქართველოს უზენაეს სასამართლოში გადაეწყვეტილების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე – ემზარ პაქსაძე

კოლეგიის წევრი – იური ვაზაგაშვილი

კოლეგიის წევრი – ირაკლი კორძახია